ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 55
18/06/2018

55-08-4-201806181638

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ჩოხატაურში მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 739.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.23.278) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტის, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს დაბა ჩოხატაურში მდებარე შენობა-ნაგებობისა და მასზე დამაგრებული 739.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი – 28.01.23.278) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლების ფორმით გაცემის თაობაზე.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა